საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *მიხეილ ჯინჯოლიას* ---------- შეფასების შედეგი:

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით

კრიტერიუმი	მიღებული ქულა	მაქსიმალური ქულა
სამართლის ნორმების ცოდნა	20	20
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	19	20
წერის უნარი	19	20
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	14	15
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	14	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	4	5
პროფესიული აქტივობა	4	5
ქულათა ჯამი	94	100

ვასილ მშვენიერაძე

თარიღი: 1.08.2025

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე

ვასილ მშვენიერაძე

2025 წლის 1 აგვისტო, ქალაქი თბილისი

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს (შემდგომში - „საბჭო“) 2024 წლის 31 დეკემბრის №1/164 განკარგულებით დაწყებულ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი კანდიდატების შერჩევის პროცედურაში მონაწილე კანდიდატის - **მიხეილ ჯინჯოლიას**

შ ე ფ ა ს ე ბ ა

1. **პროცედურის შესახებ:**

1.1. „საბჭოს“ 2024 წლის 31 დეკემბრის №1/164 განკარგულებით, დაიწყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის 1 ვაკანტურ თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი კანდიდატების შერჩევის პროცედურა.

1.2. „საბჭოს“ 2025 წლის 7 თებერვლის №1/22 განკარგულებით, მითითებულ პროცედურაში კანდიდატად დარეგისტრირდა - **მიხეილ ჯინჯოლია** (შემდგომში - „კანდიდატი“).

1.3. „საბჭოს“ შესაბამისმა სამსახურმა, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34^2 მუხლით დადგენილი წესით, მოიპოვა ინფორმაცია „კანდიდატის“ შესახებ, რომელსაც გავეცანი დეტალურად.

1.4. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34^1 მუხლის მე-8 და მე-10 პუნქტებით დადგენილი წესით, „საბჭომ“ ჩაატარა „კანდიდატის“ საჯარო მოსმენა.

1.5. საჯარო მოსმენის დასრულების შემდეგ, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34^1 მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით, „კანდიდატი“, როგორც სამოსამართლო გამოცდილების მქონე კანდიდატი, შეცვფასე -

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-15 და მე-17 პუნქტების შესაბამისად.

კეთილსინდისიერების კრიტერიუმით მოსამართლეობის კანდიდატის შეფასებისას ვიხელმძღვანელე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-15 პუნქტით.

კომპეტენტურობის კრიტერიუმით სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატი ფასდება ქულებით, 35[1] მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად:

„ა“ სამართლის ნორმების ცოდნა;

„ბ“ სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია;

„დ“ წერის უნარი;

„ე“ ზეპირი კომუნიკაციის უნარი;

„ზ“ პროფესიული თვისებები (მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში);

„თ“ აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა;

„ი“ პროფესიული აქტივობა.

აღნიშნული მახასიათებლების მნიშვნელობიდან გამომდინარე, თითოეული ამ მახასიათებლის მიხედვით მოსაპოვებელ ქულათა მაქსიმალური რაოდენობები ერთმანეთისგან განსხვავდება და შემდეგნაირად განისაზღვრება:

„ა“ სამართლის ნორმების ცოდნა – 20 ქულა;

„ბ“ სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია – 20 ქულა;

„დ“ წერის უნარი – 20 ქულა;

„ე“ ზეპირი კომუნიკაციის უნარი – 15 ქულა;

„ზ“ პროფესიული თვისებები (მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში) – 15 ქულა;

„თ“ აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა – 5 ქულა;

„ი“ პროფესიული აქტივობა – 5 ქულა.

2. ინფორმაცია კანდიდატის შესახებ:

2.1. *„საბჭოს“ შესაბამისი სამსახურის მიერ მოპოვებული ინფორმაცია:*

2.1.1. „კანდიდატი“ 38 წლისაა. აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება (ბაკალავრი, თსუ, 2008 წელი; მაგისტრი, კავკასიის უნივერსიტეტი, 2014 წელი). სპეციალობით მუშაობს 14 წელია, მათ შორის - მოსამართლედ 4 წელი და 7 თვე. კერძოდ:

- 2011 წლის ოქტომბერი - 2012 წლის ოქტომბერი - საქართველოს მთავარი პროკურატურის ანტიკორუფციული დეპარტამენტის სტაჟიორი;
- 2012 წლის დეკემბერი - 2013 წლის მარტი - საქართველოს მთავარი პროკურატურის ფინანსთა სამინისტროში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობისა და უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციაზე სისხლისსამართლებრივი დევნის დეპარტამენტის უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციაზე სისხლისსამართლებრივი დევნის სამმართველოს განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებელი;
- 2013 წლის მარტი - 2016 წლის თებერვალი - საქართველოს მთავარი პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციაზე სისხლისსამართლებრივი დევნის სამმართველოს განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებელი;
- 2016 წლის თებერვალი - 2019 წლის მარტი - ქვემო ქართლის საოლქო პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის უფროსი გამომძიებელი;
- 2019 წლის მარტი - 2020 წლის იანვარი - იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელი.
- 2020 წლის დეკემბერი - 2021 წლის აგვისტო - თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის მოსამართლე;
- 2021 წლის აგვისტო - 2022 წლის იანვარი - თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლე;
- 2022 წლის იანვარი - 2022 წლის ნოემბერი - თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიის მოსამართლე;
- 2022 წლის ნოემბერი - 2025 წლის ივლისი - თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლე;
- 2023 წლის 1 დეკემბერს მოსამართლის თანამდებობაზე განწესდა უვადოდ, კანონით დადგენილი ასაკის მიღწევამდე;
- 2025 წლის 4 ივლისი - დღემდე - თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიის მოსამართლე.

2.1.2. „კანდიდატის“ შესახებ წარმოდგენილია რეკომენდაციები და კითხვარები, რომლებშიც რეკომენდატორები გამოთქვამენ მოსაზრებებს კანდიდატის კეთილსინდისიერებასა და კომპეტენტურობაზე. გამოარჩევენ კანდიდატის პრინციპულობას, შრომისმოყვარეობას, კეთილსინდისიერებას, შინაგან კულტურას, კომპეტენციას, პასუხისმგებლობის გრძნობის უნარს და მოსამართლის სტატუსისათვის შესაფერის სხვა აუცილებელ თვისებებს. გამოკითხული რესპონდენტები კანდიდატის პირად თვისებებს და პროფესიულ საქმიანობას იცნობენ კარგად. მათი აზრით, კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს

კეთილსინდისიერების კრიტერიუმს. კომპეტენტურობის კრიტერიუმით რესპონდენტები კანდიდატს აფასებენ ძალიან კარგად.

2.1.3. „კანდიდატის“ შესახებ ინტერნეტ სივრცეში ხელმისაწვდომია ინფორმაცია მის სამოსამართლო საქმიანობასთან, სადისციპლინო კოლეგიის მოსამართლე წევრად არჩევასთან და მის მიერ განხილულ გახმაურებულ საქმეებთან დაკავშირებით. „კანდიდატი“ სარგებლობს სოციალური ქსელებით. იგი არ არის/არ ყოფილა პოლიტიკური პარტიის წევრი/მხარდამჭერი/შემომწირველი.

2.1.4. „კანდიდატს“ სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ არ ერიცხება დავალიანება. აქვს მიმდინარე სესხი, დადებითი საკრედიტო ისტორია. უძრავი ქონების რეესტრში არსებული ინფორმაცია შესაბამისობაშია ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციასთან. მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში არ არის რეგისტრირებული.

2.1.5. „კანდიდატს“ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ფაქტები უფიქსირდება, დაკისრებული ჯარიმები გადახდილია დროულად.

2.1.6. საქართველოს საერთო სასამართლოებში წარმოებულ დავებში „კანდიდატის“ მხარედ მონაწილეობის შესახებ ინფორმაცია არ არსებობს. იგი დაზარალებულად ცნობილი არ ყოფილა. „კანდიდატის“ მიმართ არ განხორციელებულა დისციპლინური დევნა და არ მიმდინარეობს ადმინისტრაციული სამართალწარმოება.

2.1.7. „კანდიდატს“ საქმის განხილვის საპროცესო ვადები დაცული აქვს საქმეთა 100% შემთხვევაში, ასევე, საქმეთა 100% შემთხვევაში დაცული აქვს გადაწყვეტილების მომზადების საპროცესო ვადები. მის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებები, ზემდგომ სასამართლოში გასაჩივრების შემდეგ, უცვლელი დარჩა საქმეთა 96.3% შემთხვევაში. საანგარიშო პერიოდში (990 დღეში) დასრულებული აქვს 5203 საქმე.

2.1.8. „კანდიდატმა“ წარმოადგინა მის მიერ განხილულ, 3 საქმეზე გამოტანილი განაჩენი.

2.1.9. „კანდიდატს“ მონაწილეობა აქვს მიღებული რიგ სასწავლო ღონისძიებებში (მაგ: 2023 წლის 7-9 აპრილი - დანაშაულისა და ძალადობის მოწმე ბავშვები - EU; 2023 წლის 1 და 2 ივლისი, კახეთი (სასტუმრო „ლოპოტას ტბა“), იუსტიციის უმაღლესი სკოლის მიერ ევროპის საბჭოს ოფისისა (CoE) და გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UN WOMEN) მხარდაჭერით დაგეგმილი ტრენინგი - „სქესობრივი დანაშაული“; 2023 წლის 20-22 ოქტომბერი, ლიკანი, გაერთიანებული ერების განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით გამართული სამუშაო შეხვედრა - „სამოსამართლო ეთიკა“; 2023 წლის 6-8 დეკემბერი, წინანდალი, სამოქალაქო, ადმინისტრაციული და სისხლის სამართლის მნიშვნელოვან და აქტუალურ საკითხებთან დაკავშირებით გამართული სამუშაო შეხვედრა; 2024 წლის 8 ივნისი, თბილისი, იუსტიციის უმაღლესი სკოლის

ტრენინგი - „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები (პრეცედენტები)“ და ა.შ.).

2.1.10. „კანდიდატს“ 2018 წელს ჩაბარებული აქვს მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა, სისხლის სამართლის სპეციალიზაციით. 2009 წელს ჩაბარებული აქვს ადვოკატის საკვალიფიკაციო გამოცდა, სისხლის სამართლის სპეციალიზაციით.

2.1.11. „კანდიდატი“ არის იუსტიციის უმაღლესი სკოლის XIV ჯგუფის მსმენელი; მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდაში მიღებული ქულები - 79/18; რიგითი ნომერი ჯგუფის საკვალიფიკაციო სიაში - 13.

2.1.12. „კანდიდატი“ საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის 2024 წლის 24 მარტის დადგენილებით არჩეულ იქნა საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის მოსამართლე წევრად.

2.1.13. „კანდიდატი“ არ ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას.

2.1.14. „კანდიდატი“ ფლობს ინგლისურ და რუსულ ენებს.

2.2. *კანდიდატის საჯარო მოსმენის შედეგად მოპოვებული ინფორმაცია:*

2.2.1. „კანდიდატის“ საჯარო მოსმენის სრული ვიდეო-ჩანაწერი ყველასათვის ხელმისაწვდომია. მას „საბჭოს“ წევრებმა დაუსვეს როგორც ზოგადი, ისე, სამართლებრივი შეკითხვები, სამართლის სხვადასხვა დარგიდან.

2.2.2. „კანდიდატის“ პასუხები თანმიმდევრული და დასაბუთებული იყო.

3. კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით:

3.1. კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით ნებისმიერი კანდიდატის შეფასებისას, მოქმედებს პრეზუმფცია, რომ კანდიდატი არის კეთილსინდისიერი, ე.ი. - აკმაყოფილებს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35^1 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ხუთივე მახასიათებლის (სამოსამართლო გამოცდილების მქონე კანდიდატისათვის) მოთხოვნებს (თუ წარმოდგენილი არ არის ამ პრეზუმფციის გამაქარწყლებელი, სანდო ინფორმაცია):

ა) „პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი“;

ბ) „დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა“;

გ) „პიროვნული და პროფესიული ქცევა“;

დ) „პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია“;

ე) „ფინანსური ვალდებულება“.

3.2. „კანდიდატის“ შესახებ დოკუმენტური, ასევე, მისი საჯარო მოსმენის შედეგად მოპოვებული ინფორმაციის ანალიზიდან გამომდინარე, მივიჩნიე, რომ „კანდიდატი“ კეთილსინდისიერების კრიტერიუმის ხუთივე მახასიათებელს აკმაყოფილებს, შესაბამისად მივიღე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-15 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დასკვნა: „კანდიდატი“ სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.

4. კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით:

4.1. „კანდიდატის“ შესახებ დოკუმენტური, ასევე, მისი საჯარო მოსმენის შედეგად მოპოვებული ინფორმაციის ანალიზიდან გამომდინარე, მივიჩნიე, რომ:

4.1.1. კანდიდატს გააჩნია მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობების, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის და კონსტიტუციურ სამართლებრივი საკითხების კარგი ცოდნა. ამასთან, „კანდიდატის“ მიერ წარმოდგენილ განაჩენების შეფასების შედეგად, მიმაჩნია, რომ კანდიდატს სწორად შეუძლია დაინახოს პრობლემის არსი, მოიძიოს და განსახილველ სამართალურთიერთობას ადეკვატურად შეუფარდოს კონკრეტული სფეროს მარეგულირებელი საკანონმდებლო აქტები.

4.1.2. „კანდიდატს“ გააჩნია ანალიტიკური აზროვნების კარგი უნარი და მოსამართლედ მუშაობის სათანადო პროფესიული გამოცდილებაც. მის მიერ განხილულ საქმეებზე გამოტანილი განაჩენები დასაბუთებული და დამაჯერებელია. გასაუბრებით მიღებული შთაბეჭდილებით, „კანდიდატს“ გააჩნია სამართლებრივი პრობლემის სწორად დანახვის, მისი გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვანი ასპექტების გამოკვეთისა და მართებული გამოსავლის პოვნის უნარი.

4.1.3. „კანდიდატის“ მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლით დავადგინე, რომ „კანდიდატი“ წერილობით აზრს ნათლად და გასაგებად გადმოსცემს, „კანდიდატის“ მსჯელობა ლოგიკური და ანალიტიკურია.

4.1.4. „კანდიდატი“ გამართულად მეტყველებს, საუბრისას მშვიდი და გაწონასწორებულია, აზრს ნათლად და გასაგებად გადმოსცემს, ფაქტების ანალიზის საფუძველზე მსჯელობს თანმიმდევრულად და ლოგიკურად, ღიაა და გააჩნია დასმული შეკითხვის არსის სწორად აღქმისა და სხვისი აზრის (მათ შორის - განსხვავებულის) მოთმინებით მოსმენის უნარი.

4.1.5. „კანდიდატი“ პუნქტუალური, გულმოდგინე, შრომისმოყვარე და მიზანდასახულია. საქმეს ამზადებს ჯეროვნად და სათანადო პასუხისმგებლობით. მისი ქცევა სასამართლო დარბაზში ასევე არის სათანადო, რის გამოც ის სასამართლო სხდომას წარმართავს კარგად, გადაწყვეტილებასაც იღებს დაუხმარებლად და

დამოუკიდებელი აზროვნების საფუძველზე. აქვს სტრესულ სიტუაციაში სწრაფად მუშაობის კარგი უნარი, რის გამოც არის პროდუქტიული და იცავს საპროცესო ვადებს. აღსანიშნავია, საქმეთა განხილვის თაობაზე მოწოდებული სტატისტიკური ინფორმაცია, რომლის თანახმად, „კანდიდატს" საქმის განხილვის საპროცესო ვადები დაცული აქვს საქმეთა 100% შემთხვევაში, ასევე, საქმეთა 100% შემთხვევაში დაცული აქვს გადაწყვეტილების მომზადების საპროცესო ვადები. მის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებები, ზემდგომ სასამართლოში გასაჩივრების შემდეგ, უცვლელი დარჩა საქმეთა 96.3% შემთხვევაში. საანგარიშო პერიოდში (990 დღე) დასრულებული აქვს 5203 საქმე.

4.1.6. „კანდიდატი" პროფესიული წვრთნის პროგრამებში ხშირად მონაწილეობს. პროფესიული ზრდის თვალსაზრისით მონაწილეობას იღებს სხვადასხვა შეხვედრებსა და ღონისძიებებში. დაინტერესებულია ახალი ცოდნისა და უნარების შეძენით, ზრუნავს თვითგანვითარებაზე, აქვს შესაბამისი საოფისე კულტურა და შეძენილ ცოდნას წარმატებით იყენებს პრაქტიკაში.

4.1.7. „კანდიდატი" ხშირად მონაწილეობს სამართლებრივი სისტემისა და მართლმსაჯულების საკითხებზე სხვადასხვა ფორმატის დისკუსიებში, შეხვედრებსა და სემინარებში, სადაც საკუთარ პოზიციას (შეხედულებებს) გამოხატავს ღიად და თავისუფლად, იჩენს ინიციატივას და აყენებს კარგ იდეებს/ წინადადებებს.

თითოეულ მახასიათებელში მიღებული შეფასებიდან გამომდინარე, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატი - მიხეილ ჯინჯოლია კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით უნდა შეფასდეს 94 ქულით.

„ა" სამართლის ნორმების ცოდნა - 20;

„ბ" სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია - 19;

„გ" წერის უნარი - 19;

„დ" ზეპირი კომუნიკაციის უნარი - 14;

„ე" პროფესიული თვისებები (მათ შორის ქცევა სასამართლო დარბაზში) - 14;

„ვ" აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა - 4;

„ზ" პროფესიული აქტივობა - 4.

ვასილ მშვენიერაძე